

დანართი №4

გზამკვლევი ლექტორებისათვის

ლექციის მიმდინარეობის პროცესი

1. გთხოვთ, ლექციაზე მოზრმანდეთ 10 წუთით ადრე მე-5 სართულზე კანცელარიის გვერდით, სადაც მენეჯერი გადმოგცემთ ფურცლებს ქვიზისათვის და აუდიტორიის გასაღებს.
2. ყოველკვირეული გამოკითხვის დროს ისარგებლეთ სილაბუსში მითითებული გამოკითხვის ფორმით.
უნივერსიტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო დებულების თანახმად, ქვიზის მიზანია სტუდენტმა თანაბრად აითვისოს ლექტორის მიერ ყოველკვირეულად მიწოდებული მასალა და სისტემატურად იმუშაოს საგანზე. ამ მიზნიდან გამომდინარე, ის სხვადასხვა სახისაა:
 - ა) წერიტი გამოკითხვა,
 - ბ) საშინაო დავალება,
 - გ) ზეპირი გამოკითხვა და სხვა აქტივობა, რომელიც ცოდნის ყოველკვირეული შეფასების შესაძლებლობას იძლევა.
3. ქვიზი ტარდება პირველი ან მეორე სალექციო საათის დასაწყისში, ქვიზისათვის განკუთვნილი დრო არ უნდა აღემატებოდეს 20 წუთს.
4. ჩატარებული ქვიზის განხილვა ხდება იმავე ან მომდევნო ლექციაზე. ეს დრო ქვიზისათვის განკუთვნილ 20 წუთში არ შედის.
5. ლექციის გაცდენის შემთხვევაში სტუდენტისათვის ყოველკვირეული შეფასების (ქვიზი) აღდგენა არ ხდება.
6. დაგვიანებული სტუდენტი ლექციაზე არ დაიშვება.
7. წესრიგს ქვიზის მიმდინარეობის დროს უზრუნველყოფს ლექტორი. იგი აწარმოებს დაკვირვებას, რათა არ მოხდეს გადაწერა ან სხვა გზით ნაშრომის გაყალბება.
8. ლექციებს შორის სტუდენტები და ლექტორები სარგებლობენ 10 წუთიანი შესვენებით. გთხოვთ, ნუ გადააბამთ ლექციებს. ასევე, გაითვალისწინეთ, რომ ლექციისთვის განკუთვნილია 1 ასტრონომიული საათი და თანაბრად შეუძლებელია, როგორც ლექციის დროზე ადრე დამთავრება, ისე დროის გადაცილება.
9. თუ თქვენთვის წინასწარ ცნობილია, რომ გიწევთ რომელიმე ლექციის გაცდენა, გთხოვთ, ამის შესახებ აცნობოთ სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურს 1 კვირით ადრე. იმ შემთხვევაში, თუ თქვენთვის ცნობილი გახდა, რომ გიწევთ ლექციის გაცდენა მაშინ როცა დარჩენილია 1 კვირაზე ნაკლები დრო, გთხოვთ, აცნობოთ სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურს არაუგვიანეს ლექციის ჩატარების დღისა.

10. გაცდენილი ლექციის აღდგენა ხდება მხოლოდ სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურის მიერ დადგენილ დროს.
11. გთხოვთ, ლექციის დასრულების შემდეგ გამორთოთ პროექტორი, ჩაკეტოთ აუდიტორიის კარი და გასაღები ჩააბაროთ მენეჯერს.
12. საქართველოს უნივერსიტეტი უფლებამოსილია განახორციელოს სასწავლო პროცესის აუდიო-ვიდეო მონიტორინგი არაკომერციული მიზნით უსაფრთხოებისა და სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად. აუდიო-ვიდეო მასალა ინახება 1 კვირის ვადით. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს საავტორო უფლებების დაცვას.
13. სილაბუსში განსახორციელებელი ნებისმიერი ცვლილება ხორციელდება მხოლოდ სკოლის დირექტორთან და პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით.
14. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საგანი გადანაწილებულია 19 კვირაზე შემდეგნაირად:
 - ა) სალექციო კვირებია 1-7 და 8-13
 - ბ) ქვიზი ტარდება ყველა ლექციაზე პირველის გარდა.
 - გ) შუალედური გამოცდა მე-8 კვირას (აღდგენა დაიშვება მე-9 კვირას),
 - დ) შემაჯამებელი სემინარი - მე-15 კვირას
 - ე) რეფერატი ან სხვა აქტივობა, რომელიც შეიძლება ითვალისწინებდეს პრეზენტაციას/დასკვნითი გამოცდა მე-16 - მე-19 კვირას.
 სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის საგანი გადანაწილებულია 19 კვირაზე შემდეგნაირად:
 - ა) ლექცია - I-დან VII-მდე, IX-დან XV-მდე კვირები,
 - ბ) ქვიზი - II- დან VII -მდე, X-დან XV-მდე კვირები,
 - გ) შუალედური გამოცდა VIII კვირას (აღდგენა დაიშვება IX კვირას),
 - დ) სტუდენტის მიერ რეფერატის/წერიითი ნაშრომის ჩაბარება XIV კვირას; შეფასება - XVI კვირას.
 - ე) რეფერატის/წერიითი ნაშრომის პრეზენტაცია და დასკვნითი გამოცდა XVI - XIX კვირას.

შეფასების სისტემა

15. ქვიზი ბაკალავრიატში ფასდება 3 ქულით, მაგისტრატურაში - 2 ქულით.
16. გთხოვთ სწავლის დაწყებიდან არაუგვიანეს 10 დღისა ონლაინ-UG-ზე ატვირთოთ სარეფერატო თემებისა და ძირითადი ლიტერატურის ჩამონათვალი. საპრეზენტაციოდ შეგიძლიათ აირჩიოთ ის ფორმა, რომელიც უფრო მისაღებია თქვენთვის. თქვენ აფასებთ არა მხოლოდ რეფერატს, არამედ მის პრეზენტაციასაც.

17. მაქსიმალური ქულა რეფერატში და მის პრეზენტაციაში ბაკალავრებისათვის არის - 10, მაგისტრებისთვის კი - 16.
18. შუალედური გამოცდა ტარდება VIII კვირას, რომელიც ბაკალავრიატში ფასდება 24 ქულით, მაგისტრატურაში - 25 ქულით.
19. დასკვნითი გამოცდა ბაკალავრიატში არის 30 ქულიანი და გამსვლელი ქულა შეადგენს 18-ს. მაგისტრატურაში კი - 35 ქულიანი და გამსვლელი ქულა შეადგენს 24,5.
20. ორივე გამოცდა (დასკვნითიც და შუალედურიც) უნდა შეიცავდეს მინიმუმ სამ კომპონენტს.
21. შუალედური და დასკვნითი გამოცდების საკითხები (რამდენიმე ვარიანტი, სკოლის დირექტორის მითითებით) უნდა გამოაგზავნოთ სწავლის დაწყებამდე სკოლის დირექტორის ელექტრონულ მისამართზე.
22. ლექტორებმა, რომლებიც ერთსა და იმავე საგანს კითხულობენ, ერთობლივად უნდა შეადგინონ შუალედური და დასკვნითი გამოცდების საკითხები საგნის კურატორთან შეთანხმებით.
23. სტუდენტის მხრიდან უკმაყოფილების თავიდან აცილების მიზნით, გთხოვთ, შეფასების შედეგები მონაცემთა ბაზაში შეიყვანოთ შემდეგ ვადებში:
 - ა) ქვიზის შედეგები - ხუთ სამუშაო დღეში,
 - ბ) შუალედური გამოცდის შედეგები - ონლაინ სისტემაში ატვირთვიდან ათ სამუშაო დღეში,
 - გ) დასკვნითი გამოცდის შედეგები - ონლაინ სისტემაში ატვირთვიდან შვიდ სამუშაო დღეში,
 - დ) პრეზენტაციის შედეგები - წარდგენიდან ორ სამუშაო დღეში.
24. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტმა გაასაჩივრა საგამოცდო ნაშრომის ქულა, გასაჩივრებული ნაშრომების / შეფასებების გადახედვა მოხდება სკოლის დირექტორის მიერ შექმნილ კომისიასთან ერთად და შედეგადად ოქმი. ნაშრომების გადახედვას დაესწრება როგორც ლექტორი, ისე დაინტერესებული სტუდენტი.
25. საგამოცდო ნაშრომების გასწორება ხდება საქართველოს უნივერსიტეტის ონლაინ-სისტემის საშუალებით.
26. გამოცდების გასწორების დროს უნდა დაწეროთ კომენტარები და განუმარტოთ სტუდენტს, თუ რაში დააკლდა მას ქულა.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ურთიერთობა

27. თუ შეგექმნათ ტექნიკური პრობლემები საქართველოს უნივერსიტეტის ონლაინ-სისტემაში მუშაობისას, მიმართეთ IT სამსახურსა და სკოლის დირექტორს. (V სართული, IT სამსახური, ოთახი 507)
28. თუ შეგექმნათ პრობლემა ანაზღაურების ჩარიცხვასთან დაკავშირებით, მიმართეთ უნივერსიტეტის საფინანსო სამსახურს. დირექტორს. (V სართული, ოთახი 520)
29. დისციპლინარულ საკითხებთან დაკავშირებით მიმართეთ იურიდიულ სამსახურს. (V სართული, ოთახი 516)

30. გთხოვთ, რეგულარულად შეამოწმოთ მესიჯები საქართველოს უნივერსიტეტის ონლაინ-სისტემაში და ისარგებლოთ უნივერსიტეტში შექმნილი ელექტრონული მისამართით.

დამტკიცებულია 2014 წლის 24 იანვრის აკადემიური საბჭოს № 3-14 ოქმით